ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობები

სალომბარდე სესხის ხელშეკრულება № xx.xxxxxx.xxx

ქ.თბილისი *თარიღი*

კრედიტის საპროცენტო განაკვეთი:

- საპროცენტო განაკვეთის ტიპი: ფიქსირებული
- წლიური ნომინალური საპროცენტო განაკვეთი: x %.
- წლიური ეფექტური საპროცენტო განაკვეთი: x %

ფინანსური ხარჯები:

- ყოველთვიური შენატანები (პროცენტი) = თანდართული გრაფიკის მიხედვით
- ვადის ბოლოს შენატანი (ძირი+პროცენტი) = xxxx ლარი

სხვა სახელშეკრულებო ინფორმაცია:

- სესხის ძირითადი თანხის ოდენობა = xxxx ლარი
- მსესხებლის მიერ გადასახდელი მთლიანი თანხის ოდენობა = xxxx ლარი
- სესხის ვადა = xx თვე;
- ვადაგადაცილების ჯარიმა - სესხის ნარჩენი ძირითადი თანხის xx %, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, ამასთან, ვადაგადაცილების დაწყებიდან მის სრულ აღმოფხვრამდე პერიოდში, დაკისრებული ნებისმიერი ფინანსური ხარჯის და ფინანსური სანქციის ოდენობა, ყოველი ვადაგადაცილებისას, ჯამურად არ უნდა აღემატებოდეს სესხის მიმდინარე ნარჩენი ძირითადი თანხის 1.5-მაგ ოდენობას.

ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში სესხთან დაკავშირებული სასეხო მოთხოვნა დაკმაყოფილებულად ჩაითვლება მხოლოდ წინამდებარე სესხის უზრუნველყოფის საშუალებ(ებ)ის მიმართ, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიებების (მათ შორის, ქონების რეალიზაციის ან/და დასაკუთრების გზით) განხორციელებით.

ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობების ცვლილების შემთხვევაში, სს მისო „ქართული კრედიტის“ მიერ მომხმარებლის ინფორმირება მოხდება ცვლილებამდე არანაკლებ 2 (ორი) თვით ადრე, ხოლო სხვა საფინანსო პროდუქტის ფასის ზრდის შემთხვევაში - არანაკლებ ერთი თვით ადრე წერილობით/ ელექტრონული ფოსტით/მოკლე ტექსტური შეტყობინებით.

მომხმარებელს უფლება აქვს, წარადგინოს პრეტენზია სს მისო „ქართული კრედიტის“ პრეტენზიების სამსახურში ზეპირი, თავისუფალი წერილობითი, სტანდარტული წერილობითი ან ელექტრონული ფორმით - www.georgiancredit.ge

გაეცანით მომხმარებელთათვის სასარგებლო ინფორმაციას საქართველოს ეროვნული ბანკის ვებგვერდსა - http://nbg.gov.ge/cp და ცხელ ხაზზე - 032 2 406 406.

სალომბარდე სესხის ხელშეკრულება – xxxxx.xxxxx თარიღი

ქ. თბილისი
მსესხებელი: სახელი / გვარი
დაბადებული: xx/xx/xxxx წ.
რეგ. მისამართი: --------
ფაქტ. მისამართი: --------
პირადი №: 00000000000
ელ.- ფოსტა: --------
ტელ: 599-XX-XX-XX

გამსესხებელი: სააქციო საზოგადოება მისო „ქართული კრედიტი“
რეგ.მისამართი: ქ.თბილისი, სანდრო ეულის ქ. N7
საინდენტიფიკაციო კოდი: №206238800
ტელ: (+995 32) 2 500 100

მისოს საზედამხედველო ორგანოს წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ბანკი, მდებარე: ქ. თბილისი, ზ. გამსახურდიას სანაპირო N1.

ერთი მხრივ, სააქციო საზოგადოება მისო „ქართული კრედიტი“ (შემდგომში გამსესხებელი/მოგირავნე) წარმოდგენილი დირექტორის მინდობილი პირის სახელი / გვარი სახით (პირადი № 00000000000) (მინდობილობის საფუძველზე, გაცემული xx.xx.xxxx წ. ნომერი: № xxxx/xxx), ხოლო მეორეს მხრივ, ფიზიკური პირი სახელი / გვარი (შემდგომში მსესხებელი/დამგირავებელი), ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების თანახმად, გამსესხებელი გასცემს მსესხებელზე სალომბარდო სესხს xx ლარის ოდენობით, xx თვის ვადით, ხოლო მსესხებელი ვალდებულია დააბრუნოს სესხის თანხა, გადაიხადოს მასზე დარიცხული პროცენტი და შეასრულოს მის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით და ამავე ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილებით (გრაფიკი, თავსართი, დანართ(ებ)ი) ნაკისრი ვალდებულება სრულად;
1.2. მიზნობრიობა: სამომხმარებლო.

2. საპროცენტო განაკვეთი

2.1. წლიური ნომინალური საპროცენტო განაკვეთი - xx %.
2.2. წლიური ეფექტური საპროცენტო განაკვეთი - xx %.

3. ფინანსური ხარჯები

3.1. ყოველთვიური შენატანები (პროცენტი) – თანდართული გრაფიკის მიხედვით;
3.2. ვადის ბოლოს შენატანი (ძირი+პროცენტი) - xx ლარი

4. სესხის თანხა

4.1. გასატანი თანხის ოდენობა: xx ლარი.
4.2. პერიოდულობა/გატანის თარიღები: ხელშეკრულების ხელმოწერის დღეს 1 (ერთი) ტრანშად.

5. შენატანები

5.1. შენატანების ჯამური მოცულობა: xx ლარი.
5.2. შენატანების საერთო რაოდენობა: xx შენატანი ;

6. ხელშეკრულების პირობები

6.1. მსესხებელი კისრულობს ვალდებულებას გადაიხადოს სესხზე დარიცხული სარგებელი ყოველთვიურად, ხოლო სესხის

ძირითადი თანხა ხელშეკრულების ვადის დასრულებისთანავე;
6.2. მსესხებელი ვალდებულია სესხზე დარიცხული სარგებელი და ძირითადი თანხა დაფაროს ხელშეკრულებაზე თანდართული გრაფიკის მიხედვით. სესხის დაფარვის გრაფიკი წარმოადგნს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს **(დანართი №1);**
6.3. პროცენტის დარიცხვა ხდება ყოველდღიურად, შესაბამისად, პროლონგაციისას, ან სესხის პროცენტის ვადაზე ადრე, ან დაგვიანებით გადახდისას, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვლისწინებული გადახდები შესაძლებელია იყოს განსხვავებული - მეტი ან ნაკლები;
6.4. კლიენტის მიერ შენატანის განხორციელებისას პირველ რიგში იფარება, კომპანიის მიერ გაწეული ხარჯები, ვადაგადაცილებიდან წარმოქმნილი პირგასამტეხლო (ასეთის არსებობის შემთხვევაში), შემდეგ სესხზე დარიცხული სარგებელი და საბოლოოდ სესხის ძირი თანხა. იმ შემთხვევაში, თუ მსესხებელს ერიცხება ერთზე მეტი მიმდინარე დავალიანება და მის მიერ შემოტანილი თანხა არ არის საკმარისი, მას უფლება აქვს, წერილობითი განცხადებით მომართვის საფუძველზე, ამოირჩიოს რომელი დავალიანების დაფარვა სურს, წინააღმდეგ შემთხვევაში, გამსესხებელი თავად გადაწყვეტს რომელ სესხზე მიმართავს თანხას;
6.5. მსესხებელი ვალდებულია აანაზღაუროს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვნად შესრულებით გამოწვეული ზიანი, ასევე, აანაზღაუროს ქონების შენახვაზე და რეალიზაციაზე გამსესხებლის მიერ გაწეული ხარჯები;
6.6. მსესხებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულად შესრულების შემდეგ, არაუგვიანეს 4 სამუშაო დღისა, გამსესხებელი ვალდებულია უკან დააბრუნოს გირაოში ჩადებული ნივთ(ებ)ი;
6.7. მსესხებელი უფლებამოსილია მოახდინოს სესხის ძირითადი თანხის შემცირება, რის შედეგადაც სარგებლის დარიცხვა მომდევნო დღიდან იწარმოებს სესხის დარჩენილ ძირითად თანხაზე. სესხის წინსწრებით სრულად ან ნაწილობრივ დაფარვის შემთხვევაში მსესხებელს პირგასამტეხლო/საკომისიოს გადახდა არ ეკისრება;
6.8. ხელშეკრულების ვადის გასვლისას, თუ გამსესხებელი არ მოითხოვს დაუყივნებლივ სესხის დაბრუნებას, ეს ხელშეკრულება ყოველ ჯერზე, შეუზღუდავი ჯერადობით, გაგრძელდება იგივე ვადით და პირობებით.

7. ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფა

7.1. მსესხებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება უზრუნველყოფილია მსესხებლის მიერ წარმოდგენილი ძვირფასი ნივთ(ებ)ით, რომელთა ჩამონათვალი და ღირებულება მითითებულია მხარეთა შორის გაფორმებულ შეფასების აქტში;
7.2. წინამდებარე ხელშეკრულების დადების მიზნებიდან გამომდინარე, ამავე ხელშეკრულების დადებამდე, გირავნობის საგანი ფასდება წონით, მათში ოქროს შემცველობის მიხედვით და არ განიხილება როგორც ნაკეთობა, ასევე, მათ შემადგენლობაში არსებული ძვირფასი ქვების შეფასება გამსესხებლის/მოგირავნის მიერ არ ხდება, შესაბამისად არ იღებს მათზე პასუხისმგებლობას. მსესხებელი ადასტურებს, რომ გირავნობის საგნის შემოწმებამდე, გამსესხებელის მიერ გაფრთხილებულ იქნა შემოწმების მიზნით გირავნობის საგნის ჩაჭრაზე ან/და ჩაქლიბვაზე და მან განაცხადა თანხმობა. გამსესხებელს, ასევე, ენიჭება უფლებამოსილება, დაგირავებულ ნივთზე დამოუკიდებლად განახორციელოს შემდგომი გადამოწმება, ქისის გახსნა და ხელახალი დალუქვა, გირავნობის საგნის უსაფრთხოების, ასევე, აუდიტისა და კონტროლინგის მიზნებისთვის მოახდინოს ნივთის ჩაჭრა ან/და ჩაქლიბვა. გირავნობის საგნად გამოყენებული ნივთების ხარისხზე, ფიზიკურ მდგომარეობაზე და გარეგნულ იერ-სახეზე გამსესხებელი პასუხს არ აგებს;
7.3. გამსესხებელი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს მოახდინოს უზრუნველყოფის სახით წარმოდგენილი ნივთების გადაფასება მსესხებელთან შეთანხმების გარეშე;
7.4. ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში სესხთან დაკავშირებული სასეხო მოთხოვნა დაკმაყოფილებულად ჩაითვლება მხოლოდ წინამდებარე სესხის უზრუნველყოფის საშუალებ(ებ)ის მიმართ, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიებების (მათ შორის, ქონების რეალიზაციის ან/და დასაკუთრების გზით) განხორციელებით.

8. სესხის უზრუნველსაყოფად წარმოდგენილი ძვირფასეულობის რეალიზაცია

8.1. გამსესხებელი უფლებამოსილია მოახდინოს დაგირავებული ნივთის/ნივთების რეალიზაცია პირდაპირი მიყიდვის გზით, ან კანონმდებლობით დადგენილი სხვა წესით:
8.1.1. თუ მსესხებელმა ხელშეკრულების გაფორმებისას წარმოადგინა არასწორი ინფორმაცია;
8.1.2. თუ მსესხებელი გააჭიანურებს იმ მოთხოვნათა დაკმაყოფილებას, რომლის უზრუნველსაყოფადაც წარმოდგენილი აქვს დაგირავებული ნივთ(ებ)ი;
8.2. გამსესხებელს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება, ზედიზედ 2 ვადაგადაცილების და დამატებით მიცემული 2 კვირიანი ვადის გასვლის შემდეგ, წერილობით გაფრთხილებით ან სმს შეტყობინების გაგზავნის გზით და მოახდინოს საგნის რეალიზება მისთვის მისაღები ნებისმიერი ფორმით. რეალიზაცია შესაძლებელია განხორციელდეს წინასწარი შეტყობინების გარეშეც, თუ არსებობს გირავნობის საგნის საბაზრო ან საბირჟო ფასის დაცემის რეალური საფრთხე.

9. დავების გადაწყვეტის წესი

9.1. ნებისმიერი უთანხმოება, რომელიც შესაძლოა წარმოიშვას ამ ხელშეკრულების შესრულების პროცესში, გადაწყდება მხარეთა შორის ურთიერთმოლაპარაკების გზით;
9.2.

შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, წინამდებარე ხელშეკრულების ირგვლივ წარმოქმნილი ან მასთან დაკავშირებული დავები, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, განიხილება საქართველოს სასამართლოს მიერ;
9.3. წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით მხარეები თანხმდებიან, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის თანახმად, ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავასთან დაკავშირებული მისოს სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება მიქცეული იქნეს დაუყოვნებლივ აღსასრულებლად.

10. პირგასამტეხლო

10.1. იმ შემთხვევაში თუ, შენატანი არ განხორციელდება სესხის დაფარვის გრაფიკით გათვალისწინებულ დროს, გამსესხებელი უფლებამოსილია გადაახდევინოს მსესხებელს სესხის ნარჩენი ძირითადი თანხის 0.27%, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, ამასთან, ვადაგადაცილების დაწყებიდან მის სრულ აღმოფხვრამდე პერიოდში, დაკისრებული ნებისმიერი ფინანსური ხარჯის და ფინანსური სანქციის ოდენობა, ყოველი ვადაგადაცილებისას, ჯამურად არ უნდა აღემატებოდეს სესხის მიმდინარე ნარჩენი ძირითადი თანხის 1.5-მაგ ოდენობას. პირგასამტეხლოს (ყოველდღიური 0.27%) დარიცხვა გრძელდება ამ ხელშეკრულებაში გათვალისწინებული ვალდებულებების სრულად შესრულებამდე.

11. პრეტენზიების წარდგენა

მსესხებელს უფლება აქვს გამსესხებელს წარუდგინოს პრეტენზია ზეპირად, თავისუფალი წერილობითი, სტანდარტული წერილობითი ან ელექტრონული ფორმით (რომლის სტანდარტული ფორმის მიღება შესაძლებელია სს მისო „ქართული კრედიტის“ ფილიალებსა და ვებ-გვერდზე www.georgiancredit.ge). მსესხებლის პრეტენზიის განხილვის მაქსიმალური ვადაა 1 (ერთი) თვე, პრეტენზიის მიღების მომენტიდან. პრეტენზიას განიხილავს სს მისო „ქართული კრედიტის“ მომხმარებელთა პრეტენზიების განხილვის სამსახური. პრეტენზიასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილების შესახებ მსესხებელს ეცნობება იმავე ფორმით რა ფორმითაც წარდგენილ იქნება პრეტენზია.

12. დასკვნითი დებულებები

12.1. მსესხებელი, წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით ადასტურებს, რომ ამ ხელშეკრულების პირობებთან ერთად, დეტალურად გაეცნო, გამსესხებლის ოფისებში საჯაროდ გამოქვეყნებულ სესხის პირობებს და გამსესხებლის ინტერნეტ-გვერდზე https://georgiancredit.ge/generalterms განთავსებულ მომსახურების ზოგად პირობებს, რაც მოიცავს საკრედიტო ოპერაციების განხორციელების წესს (ამ ხელშეკრულებაში შეტანილ ყველა ცვლილებასა და დამატებას) და ეთანხმება მათ, რითაც უერთდება ზემოხსენებულ ხელშეკრულებას;
12.2. მსესხებელი აცხადებს, რომ იგი არის გირავნობის საგნის მესაკუთრე და ამ ნივთ(ებ)ზე მესამე პირებს არ გააჩნიათ მოთხოვნები, ამ ყოველივეს ადასტურებს წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით;
12.3. მსესხებლისთვის ცნობილია, რომ სს მისო „ქართული კრედიტი“ შეაგროვებს/დაამუშავებს პირის შესახებ ყველა იმ საკრედიტ/არასაკრედიტო და სხვა რელევანტურ ინფორმაციას, რომელიც დაკავშირებულია საკრედიტო საინფორმაციო ბიუროსთვის ინფორმაციის მიწოდებასთან და ინფორმაციის მიღებასთან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესითა და პირობებით. წინამდებარე ინფორმაცია მუშავდება მომხმარებლის გადამხდელუნარიოანობის ანალიზის მიზნისათვის და ხელმისაწვდომი იქნება საკრედიტო საინფორმაციო ბიუროში ჩართული მომხმარებლისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით (სესხის გამცემი ორგანიზაციები და ინფორმაციის მიმღები/მიმწოდებელი პირები). მომხმარებლის (მათ შორის მონაცემთა სუბიექტი) მოთხოვნის შემთხვევაში, მონაცემთა დამმუშავებელი ვალდებულია გაასწოროს, განაახლოს, დაამატოს, დაბლოკოს, წაშალოს ან გაანადგუროს მონაცემები, თუ ისინი არასრულია, არაზუსტია, არ არის განახლებული, ან თუ მათი შეგროვება და დამუშავება განხორციელდა კანონის საწინააღმდეგოდ. მონაცემების დამუშავება უნდა მოხდეს მხოლოდ ვალდებულების მოქმედების პერიოდში;
12.4. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრულად შესრულებამდე;
12.5. გამსესხებელი უფლებამოსილია მსესხებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მოთხოვნის უფლება გადასცეს ნებისმიერ მესამე პირს მსესხებელთან წინასწარი შეთანხმების გარეშე;
12.6. ვალდებულებათა შესრულებისას მხარეები ხელმძღვანელობენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობითა და წინამდებარე ხელშეკრულებით;
12.7. კანონმდებლობაში მომხდარი ცვლილებების შედეგად ხელშეკრულების რომელიმე პუნქტის მოქმედების შეწყვეტის შემთხვევაში, ხელშეკრულების დანარჩენი პუნქტები რჩება ძალაში;
12.8. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ იდენტურ ეგზემპლარად და თითო ეგზემპლარი ინახება მხარეებთან იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტთ სს მისო „ქართულ კრედიტში“ ამა თუ იმ ფორმით თანხის განთავსებას, გთხოვთ, გაეცნოთ ქვემოთ მოცემულ გაფრთხილების ტექსტს და გაითვალისწინოთ:

სს მისო „ქართული კრედიტი“ არ არის ლიცენზირებული ბანკი და ბანკისგან განსხვავებით მასზე ვრცელდება მსუბუქი ზედამხედველობის რეჟიმი. მისი გაკოტრების შემთხვევაში, თქვენ შესაძლოა ვერ დაიბრუნოთ თქვენი თანხა.

დანართი: 1. სესხის დაფარვის გრაფიკი

2.შეფასების აქტ(ებ)ი

მხარეთა რეკვიზიტები

გამსესხებელი	მსესხებელი
სს მისო „ქართული კრედიტი“ 206238800	
	სახელი / გვარი 00000000000
დირექტორის მინდობილი პირი: _____ სახელი / გვარი	ხელმოწერით მსესხებელი ადასტურებს, რომ გამსესხებლის წარმომადგენელმა ზეპირსიტყვიერად გააცნო სესხის პირობები. მათ შორის, მოცემული ფინანსური ხარჯები და კრედიტის დაუბრუნებლობის სამართლებრივი რისკები. მსესხებელი ეთანხმება ყველა პირობას და ფაქტს, რომ ხელშეკრულება არ მოიცავს არასრულ ან/და ბუნდოვან ინფორმაციას.